სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

2015 წელი, 21 სექტემბერი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2172 განკარგულების საფუძველზე.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ით განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლების მქონე A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) საშუალებით, გარდა 2.2 პუნქტში მითითებული სსიპ-ებისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევებისა.

1.3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) „შემსყიდველად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

მუხლი 2. შემსყიდველი ორგანიზაციების წრე

2.1 შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის პირობები, არიან სისტემაში სახელმწიფო ორგანოს ფორმით რეგისტრირებული ორგანიზაციები (მაგ. სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები, როგორიცაა ტერიტორიული ორგანოები და სხვ.), საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ფორმით რეგისტრირებული ორგანიზაციები, გარდა 2.2 პუნქტში მითითებული სსიპ-ებისა. კონსოლიდირებული ტენდერის პირობები ასევე სავალდებულოა სისტემაში რეგისტრირებული ყველა იმ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რომელთა იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისშია. (შემდგომში - ვალდებული შემსყიდველი ორგანიზაცია).

2.2 კონსოლიდირებული ტენდერის პირობები სავალდებულო წესით არ ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. (შემდგომში - არავალდებული შემსყიდველი ორგანიზაცია)

2.3 2.2 პუნქტში მითითებული ყველა არავალდებული შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიმართოს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით შესყიდვის თხოვნით, კომისიისათვის მიმართვის გარეშე.

2.4 იმ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, რომელთათვისაც 2.2 პუნქტის მიხედვით სავალდებულო არ არის კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, საბეჭდი ქაღალდის შესყიდვისას უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი). შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა არის 150 000 შეკვრა.

მუხლი 4. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

4.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებლებს.

4.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, ხელმეორედ გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების განმეორებით წარდგენის საფასური განისაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით. კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ უნდა იქნეს სისტემის მეშვეობით.

4.3 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ პრეტენდენტს, რომელსაც აქვს ქაღალდის მიწოდების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული შესაბამისი ინფორმაცია.

4.4 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებით უნდა წარმოადგინოს საბეჭდი ქაღალდის მიწოდების პუნქტის/პუნქტების შესახებ ინფორმაცია. შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ საბეჭდი ქაღალდის გატანა განახორციელონ ქ. თბილისიდან და ქ. ქუთაისიდან.

4.5 პრეტენდენტმა სისტემის მეშვეობით სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) ცნობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
ბ) ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

4.6 წინამდებარე დოკუმენტაციის 4.5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტების გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2015 წლის 1 სექტემბრისა.

4.7 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემაში უნდა ატვირთოს მის მიერ შეთავაზებული საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები დანართი №1-ის შესაბამისად.

4.8 პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საბეჭდი ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დადასტურებულ უნდა იქნას უცხო ენასა და ქართულ ენაზე ოფიციალურად ნათარგმნი დოკუმენტის წარდგენით.

4.9 სატენდერო კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს პრეტენდენტს საბეჭდი ქაღალდის მწარმოებლისგან შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენა, რომლითაც შესაძლებელი იქნება შეთავაზებული საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების ნამდვილობის დადასტურება.

4.10 შემოთავაზებული საბეჭდი ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ხის მერქნისგან, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენით.

4.11 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ასეთი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა, შესაბამისი ოქმის სისტემაში ატვირთვიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში სისტემაში უნდა ატვირთოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ: TUV, SGS და სხვა), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ექსპერტიზის სფეროში. დასკვნა კონსოლიდირებულ ტენდერში შეთავაზებული საბეჭდი ქაღალდის შემდეგ ტექნიკურ მაჩვენებლებზე:

ა) ქაღალდის დამზადების მასალა (დამზადებულია თუ არა ხის მერქნისგან);
ბ) ქაღალდის გრამაჟი (გრ/მ^2);
გ) ქაღალდის სიკაშკაშე (%);
დ) ქაღალდის გაუმჭვირვალობა (%);
ე) ქაღალდის სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით – %);
ვ) ქაღალდის დამზადების ტექნოლოგია (დამზადებულია თუ არა ქაღალდი ქლორის გამოყენების გარეშე).

4.12 წინამდებარე დოკუმენტაციის 4.11 პუნქტით გათვალისწინებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის (მაგ: TUV, SGS და სხვა), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ექსპერტიზის სფეროში, დასკვნის გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2015 წლის 1 იანვრისა.

4.13 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 შეკვრა (არანაკლებ 500 ფურცელი) ქაღალდის ფასზე.

4.14 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 შეკვრა (არანაკლებ 500 ფურცელი) ქაღალდის საწყისი სავაჭრო ფასია 7.20 ლარი (შვიდი ლარი და ოცი თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 0.01 ლარს (1 თეთრი).

4.15 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

4.16 კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4.17 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

4.18 სატენდერო წინადადებების წარდგენა იწყება 2015 წლის 24 სექტემბერს და მთავრდება 2015 წლის 28 სექტემბერს. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგები გამოქვეყნდება სისტემის მეშვეობით.

4.19 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

4.20 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის ჯამური საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა (დაანგარიშებული საწყისი სავაჭრო ფასის მიხედვით) იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. ჯარიმა ერთი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამოიყენება ერთხელ. აღნიშნულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

4.21 ვალდებული შემსყიდველი ორგანიზაცია სხვა მიმწოდებლისაგან საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით. სატენდერო კომისიის თანხმობის მიღების შემთხვევაში, საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები

5.1 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული

ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

5.2 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

5.3 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებული შემსყიდველი ორგანიზაციების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დაიწყოს მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები და ქაღალდის პირველი მიწოდება განახორციელოს გამარჯვებულად გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. ყოველი შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და თვეში ერთხელ (თუ ხელშეკრულებით მიტანის სხვა პერიოდულობა არ არის გათვალისწინებული). იმ შემთხვევაში, თუ ერთჯერადად მისაწოდებელი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 5 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

5.4 ქაღალდის შესყიდვის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციები გამარჯვებულ პრეტენდენტს წერილობით მიმართავენ ხელშეკრულების დადების მოთხოვნით, გამარჯვებულად გამოვლენიდან არაუადრეს 1 კვირისა.

5.5 ქ. თბილისის ტერიტორიის გარეთ ქაღალდის ტრანსპორტირებასთან, ტრანსპორტირების ღირებულებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდეს შემსყიდველ ორგანიზაციებსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის შეთანხმების საფუძველზე.

5.6 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

5.7 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის

გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

5.8 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,05%. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.9 5.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

5.10 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.11 სატენდერო კომისია ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბეჭდი ქაღალდის შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასის ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, აღნიშნული გამოიწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიმართ სანქციის გამოყენების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხზე შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: paper2015@spa.gov.ge. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

დანართი N1

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების შესავსები ფორმა

1 ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	
2 მწარმოებელი ქვეყანა	
3 გრამაჟი (გრ/მ^2)	
4 სისქე (UM)	
5 სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით – %)	
6 გაუმჭვირვალობა (%)	
7 სიკაშკაშე (%)	
8 ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)	
9 შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

დანართი N2

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გრამაჟი (გრ/მ^2) – 77– 82;

2 სისქე (um) - 104 – 110;

3. სითეთრე (CIE) - არანაკლებ 148;

4. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 94%;

5. სიკაშკაშე – არანაკლებ 98% ;

6. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან - არაუმეტეს 150;

7. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;

8. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე (გააჩნდეს ECF სერტიფიკატი);

9. ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის (PEFC) მიერ გაცემული ლიცენზია/ სერტიფიკატი;

10. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;

11. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.